



# ქართული ჯარი

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საქართველო მიზნისკენ - ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

**ქართული მშვიდობისმყოფელის დღე საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ლევან იზორიას გადაწყვეტილებით 2016 წელს დაწესდა. 18 წლის წინ, 1999 წელს პირველი ქართული სამშვიდობო ოცნული კონსოლიდირებული სამშვიდობო მისიის შესასრულებლად სწორედ ამ დღეს გაემგზავრა.**



„მშვიდობისმყოფელის დღე არის დიდი ნდობისა და პატივისცემის გამოხატულება, აგრეთვე პროფესიონალიზმის აღიარება იმ ჯარისკაცების მიმართ, ვინც 1999-დან დღემდე სამშვიდობო მისიებში მსახურობს; საქართველოს მისიები მსოფლიო სამხედრო დატვირთვის მატარებელი როდია. მისიებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის განვითარების გზაზე. მასში მონაწილეობით, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, არამხოლოდ საქართველოს, არამედ, მსოფლიოს მშვიდობასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფთ და ხელს ვუწყობთ მსოფლიოში დემოკრატიის განვითარების პროცესს. მე, როგორც ამ ბიჭების ერთ-ერთ რიგით თანამებრძოლს, მასწავლებს და მეთაურობს თითოეული მათგანი. მსურს გამოვხატო უდიდესი პატივისცემა მათი საქმისა და თავდადების მიმართ.“

## ...სადაც საქართველოს დასჭირდება!



### პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი

**წილად მხვდა გელნიკაბა, ვებგარეყავი ჩემი ქვეყნის სიღატაკოვნა აფრიკის კონგინენცია, ადგილას, სადაც იმ კონკრეტულ მომენტში საქართველოს ვჭირდებოდა!**

„მშვიდობისმყოფელი უმაღ აცნობიერებ, რომ ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების თანხაწორი ხარ, მათ გვერდით შენი ქვეყნის დროშა ამაყად ფრიალებს, დღეს შენ სხვა ქვეყნის უცხადებ თანადგომას, ხვალ მათ მხარდაჭერას აუცილებლად იგრძნობ“.

გვ. 5 >>>



გვ. 2 >>>

„სამხედრო კარიერაზე გავშვობის ოცნება დიმა გეგიაშვილს სკოლის დამთავრებისთანავე აუხდენია. „რამ შეგაყვარა, ბიჭო, ეს იარაღები?!“ - ხშირად უკითხავს მისთვის დედან - ლარისას და შვილისგან დირსეული პასუხიც მიუღია - „მე ჯარისკაცად დავიბადა“...

უმცროსი სერჟანტის მდინარი გეგიაშვილის გახსენება



### ვიცა-პოლკოვნიკი ალუდა სეთურიძე

**აპირივი ეს გზა, რომ ჩემს დიდ ოჯახს, ჩემს სამოქალაქო ვეზსახურო.**

გვ. 6 >>>

## ავღანეთის მინაზე

მისიაში მყოფი კავრალის, ლაშა გოჩელაშვილის ჩანაწერები

„სამშვიდობო მისია არის არაჩვეულებრივი საშუალება და არაჩვენი ქვეყნის კულტურის ექსპორტისა, მოკავშირე ქვეყნის ჯარისკაცებთან.“

გვ. 3 >>>







# ...სადაც საქართველოს დასჭირდება!



ზესტაფონის რაიონის სოფელ მარტო-თუბნის ციხაბო ბილიკს, რომელსაც ბებიაშვილების ოჯახში მიეყვართ, უკვე მეორედ ვაღვარათ... პირველად, საქართველოს თავდაცვის უწყების ოფიციალურ პირებთან ერთად, უმცროსი სერჟანტის მდინარი ბებიაშვილის ოჯახში სამხმარზე ვიმყოფებოდით... სწორედ იმ დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებს ერთი სამხედრო დააკლდა, ხოლო ქვეყანამ კიდევ ერთი გმირი შეიძინა...

3 აგვისტოს, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, ბაგრამის საავიაციო ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთობლივი მოტორიზებული პატრულირებისას თავდასხმა განხორციელდა. ტერორისტული აქტის შედეგად, „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე ქვეითი ბატალიონის უმცროსი სერჟანტი მდინარი ბებიაშვილი დაიღუპა.

ამ ინფორმაციამ ყველაზე ადრე გმირის ზემოთმხრული მშობლიური სოფლის ბილიკები ამოიბრინა... ოთხი თვის წინ უმცროსი სერჟანტი ბებიაშვილი ამ გზამ წაიყვანა ქართველი მშვიდობისმყოფელის გმირული ისტორიის შესაქმნელად...

უმცროსი სერჟანტი მდინარი ბებიაშვილი შეიარაღებულ ძალებში 2010 წლიდან მსახურობდა. ის ავღანეთში უსაფრთხოების ხელშეწყობის საერთაშორისო ძალების (ISAF) მისიაში ორჯერ - 2012 და 2014 წლებში მონაწილეობდა; 2017 წლის აპრილიდან კი, ის „მტკიცე მხარდაჭერის მისიას“ ას-

რულებდა. სამხედროს მიღებული აქვს მედლები „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის“.

გმირის ოჯახში ზემოთმხრულ მასპინძლობის ტრადიციას ვერ დალატობენ, თუმცა დარდი თავის შეზღუდვებს აწესებს... 25 წლის დიმა ბებიაშვილის გარდაცვალებიდან 40 დღე ჯერ არ გასულა... იოლი არ არის ესაუბრო დაწვრილებულ დედ-მამას, ძმას და ახლობლებს... დიმას ოჯახის წევრები ტრაგედიის შესახებ გვიყვებიან... მონათხრობს სიამაყის განცდა და ცხოვრებისგან მიღებული ჭრილობის სიღრმის გაცნობიერების მცდელობა ახლავს... „სადაც საქართველოს დაგვირდები, იქ ვიდგებიო“, - უთქვამს ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად მესამედ წასულ დიმას. ქართველი მშვიდობისმყოფელის მამა - საბა გვეუბნება, რომ მის შვილზე განსაკუთრებული გავლენა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს მოუხდენია... ის იხსენებს, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე დიმა როგორ კითხულობდა ომის მონაწილე მეზობელი ჯარისკაცების ამბებს... ქართულ შეიარაღებულ ძალებზე შეყვარებული მოზარდისთვის ომიდან დაბრუნებულ ბიჭებს ნაომარი სამხედრო ფორმა უჩუქებიათ...

სამხედრო კარიერაზე ბავშვობის ოცნება დიმა ბებიაშვილს სკოლის დამთავრებისთანავე აუხდენია. „რამ შეგაყვარა, ბიჭო, ეს იარაღები?“ - ხშირად უკითხავს მისთვის დედას - ლარისას და შვილისგან ღირსეული პასუხიც მიუღია - „ემე ჯარისკაცად დავიბადე“...

ჩვენთან ერთად გმირის ოჯახის წევრებიც პირველად ისმენენ მის მიერ ბავშვობის მეგობრისთვის - ბექა ლაბაძისთვის მონათხრობს - პირველი მისიის დროს მოწინააღმდეგის ტყვეობის წვიმაში მოყოლისა და სიკვდილისთვის თვალეში ჩახედვის შესახებ... ბექა ამბობს, რომ საფრთხეების მიუხედავად, მისი მეგობარი ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად და საქართველოს ინტერესების დასაცავად მესამედ უყოყმანოდ წავიდა... მასპინძლები დიმას პიროვნულ თვისებებზე ამხავილებენ ყურადღებას - მისთვის აქამდე უცნობი ისტორიის მოსმენის შემდეგ, დედა ამბობს, რომ მისი შვილი სიტყვაძუნწი იყო... მამა ეთანხმება და დასძენს, რომ მშობლებმა შვილის გმირულად დაღუპვის შემდეგ შეიტყვეს რომ დეკემბერში დაოჯახებას აპირებდა... „დიმას არ უყვარდა საკუთარი წარმატებების შესახებ საუბარი. სამი მედალი ჩამოშობიანა ავღანეთიდან და მადლობის წერილები, რომლებიც ბებიაშვილსაც კი მისგან მალულად გაეუზიარე“ - გვეუბნება დედა. მიზანსწრაფული, თავმდაბალი, გაწონასწორებული, პასუხისმგებელი, მოწესრიგებული - ასეთია ჩვენი ქვეყნის გმირი - დიმა ბებიაშვილი.

ბოლოს მამას ინტერნეტის საშუალებით ესაუბრა და სამხედრო ბაზაზე ვიდუკამერით მისი საცხოვრებელი პირობები დაათვალიერებინა, ოჯახი კიდევ ერთხელ დაამშვიდა და დააიმედა... თვალცრემლიან ჭირისუფალს ახლაც თვალწინ აქვს მშობლიური ეზოდან ქვეყნის ჯარისკაცის

გაცილების კადრები და დღეს უკვე შეუსრულებელ გეგმებზე საუბრობს... შემდეგ ტრაგიკული მოვლენები ავღანეთის ცხელ მიწაზე ვითარდება... თავდასხმის შედეგად დაღუპული ქართველი მშვიდობისმყოფელის ხსოვნის პატივსაცემად საქართველოს სახელმწიფო დროშა ქვეყნის თავდაცვის უწყებასა და ავღანეთის სამშვიდობო მისიას დაქვემდებარებულ სამხედრო ბაზებზე დაეშვა.

„მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ დაღუპული უმცროსი სერჟანტი ბებიაშვილი ავღანეთიდან სამხედრო პატივით გამოაცილეს. ქართველ გმირს საქართველოში საგლოვარო ცერემონიით დახვდნენ.

ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის, აშშ-ს, ასევე ნატოს წარმადგენლებმა და „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ მეთაურებმა უმცროსი სერჟანტის მდინარი ბებიაშვილის დაღუპვის გამო მწუხარება გამოხატეს.

ქართველ მშვიდობისმყოფელს პატივი მშობლიურ რაიონსა და სოფელშიც მიაგეს. „დიმამ, 25 წლის ასაკში უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა“, - ამბობს გმირის მამა.

მარტოთუბანი - ეს 350 კომლიანი სოფელი ისტორიულ წყაროებში პირველად XVIII საუკუნეშია მოხსენიებული. დღეს, ადგილობრივები, უმცროსი სერჟანტის მდინარი ბებიაშვილის გმირობით ამაყობენ, ხოლო მეზარეულები ამ ისტორიას ერთ ხელისგაწვდუნაზე პყვებიან...

ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ქართველი სამხედროების სიმამაცისა და გმირობის შესახებ საუბრისთვის კიდევ ერთი მიზეზი განჩნდა... შესაბამისად, უცხოელ თანამებრძოლებს საქართველო - მდინარი ბებიაშვილისა და სხვა ქართველი მებრძოლების სამშობლო რუკაზე მონიშნული აქვთ როგორც „გმირების სამშობლო“.

ქართველი მშვიდობისმყოფელის ოჯახს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაბეჭდილი, გახეთ „პრაიმტიმის“ პროექტის ფარგლებში შექმნილი წიგნის „გმირი“ ახალი ტირაჟის სასიგნალო გამოცემა გადაეცემა. წიგნის ამ ვერსიაში მდინარი ბებიაშვილის ისტორიაც შევიდა...

ასე, ჩვენ თვალწინ, იწერება საქართველოს ისტორია და ჩვენ მისი შემოქმედნი ვართ... ზოგი სიცოცხლის ფასად, ზოგი - კალმით... როგორც გმირი, დიმა ბებიაშვილი ამბობდა, „ვდგავართ იქ, სადაც საქართველოს დასჭირდება!“





# აკლანეთის მიწაზე

## მისიანი მყოფი კავრალის, ლაშა გოჩიაშვილის ჩანაწერები

ქვეყანა, ხალხი - ყველაფერი რაც კი აქაურობას უკავშირდება, გგონია, რომ ნახევრად მისტიკურია. 2009 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ რაც ქართული ქვედანაყოფები საერთაშორისო კოალიციურ ძალებთან ერთად სამშვიდობო მისიებსა და სხვადასხვა ოპერაციებში იმყოფებიან, სათავეს იღებს ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ქართველი ჯარისკაცების საინტერესო თავგადასავლები - ეს ყველაფერი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ემოციებთან არის დაკავშირებული.

იყო ტკივილი გმირულად დაცემული ქართველი მებრძოლების, ჩვენი ძმების გამო; იყო სიხარულიც, გამარჯვების, წარმატების, შესანიშნავად შესრულებული ამოცანის შემდეგ, ქართველის მიერ თანამებრძოლისა თუ ჩვენი მოკავშირეების გადარჩენილი სიცოცხლის გამო; იყო კურიოზებიც...

23-ე ბატალიონი ბაგრამის საავიაციო ბაზაზე ამოცანის შესრულებას 2017 წლის 3 აპრილიდან შეუდგა და მეც პირველივე დღიდან ჩემზე დაკისრებული ამოცანის შესრულებას შევუდექი. მართალია, ჯარისკაცის თითოეული დღე, საკმაოდ შრომატევადია, მაგრამ როცა გათავისებული გაქვს, შენს უკან შენი სამშობლოა და შენმა ქმედებამ შესაძლოა უდიდესი ზიანი ან უდიდესი სიხარული მიანიჭოს შენს ქვეყანას, შენს თანამებრძოლებს, დადლა და პირადი პრობლემები გაგიწვდება. ბაგრამის საავიაციო ბაზაზე, რომელიც ავღანეთის ტერიტორიაზე მასშტაბებითა და მნიშვნელობით უმთავრესია, ქართველი ჯარისკაცის ამოცანა უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ელემენტებისგან შედგება, შესაბამისად, დღე ავღანეთში დიდის 5 საათიდან იწყება. პირადი პიგიენისათვის განკუთვნილი დროის შემდეგ, დღე ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი ადგილიდან გრძელდება, ადგილი სადაც ჩვენივე ხელით აგებული ულამაზესი სალოცავი დგას, სალოცავი, რომელსაც ქვეთ აგებული გალავანი და სამრეკლო ამშვენებს. ის ერთადერთი ადგილია ბაზაზე, სადაც რამდენიმე ძირმა ქართულმა ვაზმა და კოლხურმა ბზამ გაიხარა. ეს უდიდესი

სიხარულია და ბუნებრივია, ყოველ დღით, თითოეული ჯარისკაცის ზრუნვის ობიექტია. სალოცავის გალავნის კედლები, რომელსაც გელათი, სვეტიცხოველი, ალავერდი, დავითი და თამარი ამშვენებს, წარმოსახვაში პატარა საქართველოს აცოცხლებს და თავისთავად, სამშობლოდან 3000 კილომეტრში, ქართველი ჯარისკაცისთვის უსაყვარლეს ადგილს წარმოადგენს. სალოცავი, სადაც კაპელანი მამა ზაზა წირვა - ლოცვას ადავლენს, არა მარტო ქართველთა, არამედ ბაზაზე მყოფი სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებელთა შეკრების ადგილიცაა, მართლმადიდებლურ დღესასწაულებზე აქ ნახავთ, რუმინელ, ბერძენ, ბულგარულ, მაკედონიელ მართლმადიდებლებს.

ქართველი ჯარისკაცის შესრულებული ამოცანიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პატრულირების ამოცანაა, რომელსაც ყოველდღიურად ვასრულებთ - ეს დიდი პასუხისმგებლობაა, თუმცა სხვადასხვა დროს, ჩვენ მიერ მიღებული გამოცდილება, ერთმანეთის ნდობა და გამხნეება, სამშობლოს სიყვარული და რწმენა გვაძლევს იმედს, რომ ამოცანა წარმატებით ჩაივლის. პატრულირების ოპერაცია მნიშვნელოვანთან ერთად საინტერესოც არის, იმდენად, რამდენადაც ადგილზე ხდება ქვეყნის კულტურის, ტრადიციის და ყოველდღიურობის შესწავლა, გასაუბრება სოფლის საერო თუ სასულიერო ავტორიტეტებთან. ემოციურია მათი პრობლემების მოსმენა, ემოციურია პატარების ნახვა, რომლებიც ჩვენგან საკვებს და წყალს ელიან. ბედნიერებაა მათი გახარებული თვალების ნახვა, იმის გათვალისწინებით, როდესაც თითოეულ ჩვენგანს საკუთარი პატარები, დის შვილები, ძმის შვილები გველოდებიან საქართველოში.

მიუხედავად ყველაფრისა პატრულის ამოცანა რისკებთანაც არის დაკავშირებული. სწორედ პატრულირების ამოცანის შესრულების დროს, ბატალიონის ერთ-ერთი საუკეთესო ჯარისკაცი, უმცროსი სერჟანტი ბებიაშვილი



დავკარგეთ. ის სამარადქამოდ დარჩება თითოეული ჩვენგანის გულში, როგორც გმირი, რომელმაც საკუთარი თავი და ყველაზე ძვირფასი - სიცოცხლე სამშობლოს შესწირა.

არანაკლებ საპასუხისმგებლოა შიდა უსაფრთხოების ამოცანის შესრულება, რამდენადაც ბაზის ტერიტორიაზე მყოფი ქართველის თუ უცხოელის, ჯარისკაცის თუ სამოქალაქო პირის უსაფრთხოება მთლიანად ქართველი ჯარისკაცის ვალდებულებაა, რაც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან ქართველებისადმი უდიდესი ნდობის გამოხატულებას წარმოადგენს. ეს, ერთი ორად ზრდის ჩვენ შემართებას, რადგან ისინი მენდობიან არა მხოლოდ მე, ან რომელიმე ჯარისკაცს, არამედ ჩემს ქვეყანას! სისტემატური ხასიათი აქვს ჩვენ მიერ გატარებულ კუმანიტარულ ღონისძიებებს ახლომდებარე სოფლებსა და ადგილობრივ სკოლებში, რომელთაც ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში სხვადასხვა სახის საჭირო ინვენტარი მივწოდებთ, რაც კიდევ უფრო ზრდ-

ის ადგილობრივი მოსახლეების კეთილგანწყობას ქართველების მიმართ. მიუხედავად შრომატევადი დღისა პირადი საჭიროებისათვის თავისუფალი დრო ყოველთვის გვრჩება, რომელსაც განტვირთვისა და ძირითადად ოჯახთან დასაკავშირებლად ვიყენებთ. თავისუფალ დროს ხშირად ვიკრებივით ჩვენი თანამებრძოლების, ვრაცხისა და ავღანეთის საერთაშორისო მისიებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების მემორიალთან, რომელიც ტკივილისა და სიხარულის, ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და ნათელი მომავლის რწმენასთან ასოცირდება. მიუხედავად ჩვენზე დაკისრებული რამდენიმე საბრძოლო ამოცანისა, ვფიქრობ, რომ სამშვიდობო მისია არის არანაკლებ ბრძოლი საშუალება და არენა ჩვენი ქვეყნის კულტურის ექსპორტისა, მოკავშირე ქვეყნის ჯარისკაცებთან. თითოეული ჩვენგანის პირადი უროთიერთობა, ასევე ჩვენ მიერ ჩატარებული რამდენიმე ღონისძიება იმის საშუალებასაც იძლევა, რომ უცხოელებს ჩვენი ქვეყანა, მისი ტრადიცია, კულტურა, ხელოვნება, ისტორია გავაცნოთ. მაგალითად, 26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გაუღებულმა ქართულმა ფოლკლორმა და მრავალხმიანი ქართული სიმღერისა და ქართული კერძების ნიმუშებმა ძალიან დიდი გამოხმაურება გამოიწვია ჩვენს უცხოელ მეგობრებში. ამის ფონზე უდიდესია მონატრება საკუთარი სამშობლოს, საკუთარი ხალხისა და ოჯახის მიმართ.

ძალიან მალე ჩვენი ამოცანა დასრულდება და სამშობლოში დავბრუნდებით. ამაყად აღმართულ ქართულ დროშას კი სხვა ბატალიონი გადაიბარებს. ჩემს ძმებს, თანამებრძოლებს, რომელთაც უკვე გადაწყვეტილი აქვთ ღირსეულად გააგრძელონ წლების წინ დაწყებული საქმე, მინდა ვუთხრა, მართალია აქ თქვენ რთული კლიმატური პირობები დაგხვდებათ, მოგვენატრებათ საკუთარი ოჯახები, ქვეყანა, მაგრამ თქვენ ნამდვილად იამაყებთ, რომ საქართველოდან ხართ, თქვენ დაიცავთ მსოფლიო მშვიდობას და დაიცავთ საქართველოს.







# საქართველო - სავითარების მხარდამხმარებელი

## სავითარების მხარდამხმარებელი



საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციაში. საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები ჩართულნი იყვნენ 1999-2008 წლებში კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში (KFOR-Kosovo Forces). პირველი ქართული სამშვიდობო ოცეული ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში 1999 წელს გამოჩნდა, (კოსოვოში სავითარების სამხედრო კონტინგენტის განთავსების შემდეგ). 34 კაციანი ქართული ოცეული ქ. მამუშაში თურქული ბატალიონის შემადგენლობაში ირიცხებოდა. 2003 წლიდან ქართული სამშვიდობო კონტინგენტი კოსოვოში რამდენჯერმე გაიზარდა. ქ. პრიზრენში გერმანული ბრიგადის შემადგენლობაში საქართველოს შეიარაღებული ძალები ერთი ასეულით (150 სამხედრო მოსამსახურე) იყო წარმოდგენილი. ამის შემდეგ კოსოვოში მუდმივად იმყოფებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების 180 სამხედრო მოსამსახურე. მათი როტაცია ყოველ 7 თვეში ერთხელ ხდებოდა (გერმანულ ბრიგადაში გასაგზავნი ქართველი სამხედროები რამდენიმე კვირა ჯერ გერმანიაში ემზადებოდნენ და შემდეგ ჩადიოდნენ კოსოვოში, ქ. პრიზრენში). კოსოვოში ქართული კონტინგენტი 2008 წლამდე იმყოფებოდა (სანამ, 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს მთავრობა დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა).

საქართველო ასევე მონაწილეობს ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე ანტი-ტერორისტულ ოპერაციაში - აქტიური ძალისხმევა (Active Endeavour),

რომელიც ინიცირებულია 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მეხუთე მუხლის საფუძველზე. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო ოპერაციაში „თავისუფლება ერაყს“ (Operation Iraqi Freedom) (2003-2008წწ.). ხაზგასასმელია, რომ ერაყის ოპერაცია ნატოს გვიდით არ მიმდინარებდა და კოალიციურ ძალებს ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობდა. ერაყში, ქ. ტიკრიტში, პირველად სამშვიდობო მისიის შესასრულებლად სამედიცინო ჯგუფი (70 სამხედრო სამედიცინო პერსონალი) და საინჟინრო ოცეული 2003 წელს გაემგზავრა. კოალიციური ჯარების შემადგენლობაში 2004 წელს მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა 300 კაცამდე გაიზარდა, ხოლო 2005 წლიდან სამშვიდობო მისიის შესრულება 850 ჯარისკაცმა განაგრძო. ორი წლის შემდეგ, 2007 წლის ივლისიდან საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივითა და საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, ერაყში სამშვიდობო მისიით ქ. ალ კუტში (გასიტის პროვინცია) მესამე ქვეითი ბრიგადის 2000 სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა. 2008 წლის იანვარში III ქვეითი ბრიგადა I-მა ქვეითმა ბრიგადამ ჩაანაცვლა. ბრიგადის პირადი შემადგენლობა სამშვიდობო მისიის შესასრულებლად დისლოცირებული იყო ბაზა „დეტაზე“ (გასიტის პროვინცია) 1500 ჯარისკაცით, ბაზა „ქლეარზე“ - 350 და ქ. ბადდაში - 150 სამხედრო მოსამსახურით. I ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცები სამ-



შობლოში 2008 წლის აგვისტოში დაბრუნდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს წვლილი ავღანეთის აწ უკვე დასრულებულ სავითარების უსაფრთხოების მხარდამხმარებელი ოპერაციაში (ISAF - International Security Assistance Force), სადაც 2004 წლიდან 2014 წლის ჩათვლით მონაწილეობდა. აღნიშნულ ოპერაციაში მონაწილე ნატოს არაწევრ პარტნიორ ქვეყნებს შორის, კონტინგენტის რიცხოვნობის თვალსაზრისით, საქართველოს პირველი ადგილი ეკავა. ავღანეთში სავითარების მისიაში მონაწილეობის მისაღებად პირველად ქართული კონტინგენტი 2004 წელს გაიგზავნა. ISAF-ის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობა ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან ერთად მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ქართული შეიარაღებული ძალების სამომავლო განვითარებასა და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას. აღიანის მისიაში წვლილის შეტანით საქართველომ დაადასტურა, რომ არ არის მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი ქვეყანა, არამედ აქტიურად შეუძლია, ჩაერთოს სავითარების მშვიდობის დამყარების პროცესში.

ავღანეთში გამგზავრებამდე სამხედრო მოსამსახურეები სამშვიდობო მისიისთვის ექვსთვიან ინტენსიურ მომზადებას საქართველოში გადიოდნენ. სწავლებას ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების საექსპედიციო ბრიგადა ხელმძღვანელობდა. საქართველოდან სამხედროები გერმანიის ქალაქ ჰოპენფელსშიც ჩადიოდნენ, სადაც ერთთვიან წვრთნას აშშ-ის გაერთიანებული მრავალეროვნული მზადყოფნის ცენტრში გადიოდნენ. ავღანეთში გამგზავრებამდე ჯარისკაცების მომზადების დონესა და მათ მზადყოფნას ცენტრის ექსპერტები, ასევე, ამერიკელი საზღვაო ქვეითების ინსტრუქტორთა და მრჩეველთა ჯგუფი აფასებდა. საერთო ჯამში 2010-2013 წლებში ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში 2 ქვეითი ბატალიონი

იმყოფებოდა, ქაბულში ერთი ასეული, ფრანგული სარდლობისა და ერთი ასეული ამერიკელების დაქვემდებარების ქვეშ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2011 წელს ქართველი არტილერისტების ინსტრუქტორთა ჯგუფი ავღანელ არტილერისტებს ამზადებდა. 2015 წლიდან საქართველო განაგრძობს ნატოს ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობას და ჩართულია „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (RSM - Resolute Support Mission), სადაც ის ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ სამხედრო მომსახურეთა რაოდენობით მეორე კონტრიბუტორია. ასევე, 2015 წლიდან საქართველო ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF - NATO დესპონსე ორცე). 2002 წელს პრადის სამიტზე გადამწყვეტი მნიშვნელობის რამდენიმე ინიციატივას დაედო სათავე, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ნატოს სამხედრო შესაძლებლობების განვითარებაში. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების შექმნაა. 2006 წლიდან ნატოს სრულ ოპერატიულ მზადყოფნაში პყავს ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული, კარგად გაწვრთნილი სწრაფი რეაგირების ძალები. 2014 წელს საქართველო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე ევროკავშირის სამხედრო ოპერაციაში (EUFOR RCA) ჩაერთო. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, 2014 წლის ივნისში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ნაკრები ასეული (156 სამხედრო მოსამსახურე) და შესაბამისი ტექნიკა გაიგზავნა. ქართული ასეულის ძირითად ამოცანას დედაქალაქ ბანგის აეროპორტის დაცვა წარმოადგენდა. მაღის რესპუბლიკაში, ევროკავშირის საწვრთნელი მისიის მრავალეროვნულ შტაბში, მრჩეველთა ჯგუფის მრჩეველად, 2016 წლის 5 იანვარს საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთი უფროსი ოფიცერი გაიგზავნა. მისია კვლავ მიმდინარეობს.





# წილად მხვდა ბელნიკაბა, ველგარნიკი ჩვენი ქვეყნის საღარაჯოზე აფრიკის კონტინენტზე, აღვიღას, საღარა ნი კონკრეტულ მომენტში საქართველოს პირდაპირი პოლიტიკური მალხაზ მერლანი

პოლიტიკური მალხაზ მერლანი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 1995 წლიდან მსახურობს. წარმატებული სამხედრო კარიერის განმავლობაში, საამაყო და დაუფიქრარი წუთები არაერთხელ ჰქონია, თუმცა საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელსა და ყოფილ მეთაურს, მესამე ქვეითი ბრიგადის ყოფილ მეთაურს, ავღანეთში, ISAF-ის მისიის მონაწილე ოფიცერს, მიაჩნია, რომ მალის რესპუბლიკაში, ევროკავშირის საწვრთნელი მისიის (EUTM Mali) ფარგლებში გატარებული პერიოდი (2016 წლის იანვრიდან ივნისამდე) მის ცხოვრებასა და კარიერაში გამორჩეულია. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საბრძოლო მზადყოფნის მონიტორინგის სამმართველოს უფროსი დასავლეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიღებულ გამოცდილებასა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მნიშვნელობაზე საუბრობს.

## EUTM Mali - ახალ მისიაში წახვედრის ბადაყვამბები

როდესაც დღის წესრიგში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM Mali), საქართველოს ჩართულობის საკითხი დადგა, სამხედრო წარმომადგენლის პოზიციაზე, არჩევანი პოლიტიკური მალხაზ მერლანის კანდიდატურაზე შეაჩერეს: „ეს იყო აბსოლუტურად ახალი მისია. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ არჩევანი ჩემზე გაკეთდა. ჩემი წარგზავნის გადაწყვეტილება, ალბათ, ფრანგული ენის ცოდნითაც იყო განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, ISAF-ის მისიაში ვიმყოფებოდი, ევროკავშირის საწვრთნელი მისია ჩემთვისაც უცნობი, მაგრამ ამავედროულად ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო იყო. მართლაც, საინტერესო გამოწვევის წინაშე აღმოვჩნდი. როდესაც პირველი ადამიანი ხარ, რომელიც ახალ მისიაში მონაწილეობისთვის ემზადები, მეტი ყურადღება გმართებს, როგორც უშუალოდ მოვალეობის შესრულების პროცესში, ასევე, მოგვიანებით, შენი შემცველების წინაშე, ვისთვისაც მხარდაჭერა და გამოცდილების გაზიარება ბევრს ნიშნავს“, - იხსენებს ქართველი ოფიცერი, რომელსაც ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის, საქართველოს წარმომადგენელს, პირველს ხვდა მალის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის პატივი.

## პირდაპირი ანგარიშები და დასახელება განსაკუთრებული წვლილის გამო

მისია მიზნად მალის შეიარაღებული ძალების წვრთნას, თავდაცვის სისტემის რეფორმირებაში დახმარებას ისახავდა: „მოგეხსენებათ, ეს გახლდათ საწვრთნელი მისია, ყურადღებას სწორედ წვრთნაზე, რეფორმირებაზე, განსაკუთრებით, ლოჯისტიკის, პერსონალური მენეჯმენტისა და საბრძოლო მომზადების კუთხით, ხარისხის გაუმჯობესებაზე ამახვილებდნენ. მისიის ფარგლებში საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფიცრის როლსაც

ვასრულებდი. პასუხისმგებელი ვიყავი მისიის ხელმძღვანელობას, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის პროცესზე. მათგან მხოლოდ კეთილგანწყობას ვგრძნობდი. ვფიქრობ, ავღანეთში მიღებულმა გამოცდილებამ დადებითი გავლენა მოახდინა. მართალია, ეს ორი მისია ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა, ავღანეთში საბრძოლო დაფალებაზე ვიყავით ორიენტირებული, ფაქტობრივად, 24 საათიანი მზადყოფნის რეჟიმში ცვხვრობდით, მალის მისია კი, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, აქცენტს წვრთნაზე აკეთებს და გარკვეულწილად ლიბერტირულიც ხარ“, - აღნიშნავს მალის რესპუბლიკაში ყოფილი სამხედრო წარმომადგენელი, რომელსაც მალის სამშვიდობო მისიის ხელმძღვანელობისგან სამადლობელი სიტყვები და საპატიო სიგელი ხვდა წილად. ქართველი პოლიტიკური ამბობს, რომ მას გაუმართლა, თუმცა ცნობილია, ექვსთვიანი მისიის განმავლობაში, განსაკუთრებული წვლილის შეტანის გამო, მადლობის სიგელს ერთ სამხედრო მოსამსახურეს გადასცემენ. მისიის შიგნით ე.წ. საბჭო ფუნქციონირებს, რომელიც 11 წევრისგან შედგება. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რამდენიმე კანდიდატს მოიაზრებენ, თუ ვის შეიძლება განსაკუთრებული წვლილისთვის საპატიო სიგელი ერგოს.

## მშვიდობისმყოფელის გამოწვევა და მისი საქმიანობის სიღარიბე

ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურის ცხოვრება განსხვავებულია. მისი საქმიანობა, პასუხისმგებლობასთან ერთად, უდიდეს რისკებთან და საფრთხეებთანაც არის დაკავშირებული, რაც საერთაშორისო სამშვიდობო მისიის შესრულებისას უფრო იზრდება. მალის რესპუბლიკაში ყოფილი სამხედრო წარმომადგენლის განცხადებით, ქართველი მშვიდობისმყოფელის საქმიანობის სიღარიბე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რისკ-ფაქტორები ერთგვარ გამოწვევად იქცევა: „ასეთ დროს საფრთხე პრობლემას აღარ წარმოადგენს, დისკომფორტს აღარ გიქმნის. სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა სამხედრო მოსამსახურის ვაჟკაცობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, შიშის მინიმუმად დაყვანის დადასტურებაა. მშვიდობისმყოფელი გამარჯვებას, პირველ რიგში, საკუთარ თავთან ბრძოლაში მოიპოვებს, რასაც შესაძლებელს სამშობლოს სიყვარული, მისი უკეთესი მომავლის რწმენა ხდის“, - აცხადებს პოლიტიკური მალხაზ მერლანი და კვლავ მალის მისიაში გატარებულ დღეებზე საუბარს განაგრძობს, სადაც საქართველოს დესპანი მთლიანად საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და ქვეყნის სახეს წარმოადგენდა: „მახსოვს, საფრანგეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ემანუელ ვალსი გვეწვია. სტუმარი მისიის ხელმძღვანელმა, გენერალმა ალბერტმა წარვიდგინა, შემდეგ ჩემზე მიაჩნა და უთხრა - მისიაში ერთადერთი სამხედრო მოსამსახურეა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნიდან წარმოდგენილი, პირვე-



ლად ვმსახურობ და ვსაქმიანობ ქართველ ჯარისკაცთან ერთად და ჩემს აღქმაში ყველა ქართველი სამხედრო მოსამსახურე ისეთივე ღირსეული და პროფესიონალია, როგორც პოლიტიკური მერლანი - ასე რომ, ადამიანური ურთიერთობა, კავშირების დამყარება ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყნის მომავლის განვითარების საქმეში ურთიერთპატივისცემაზე გასათვალისწინებელია. გამორიცხული არ არის, ის ადამიანები, ვინც მე გაიცინა, 28 ქვეყნის მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურე, ვის გვერდითაც ვიყავი, გადაწყვეტილების მიმღები პირები გახდნენ. ისინი ქვეყნის დედას არასოდეს დაივიწყებენ და სათანადო მომენტში, მადლიერება და კეთილგანწყობა შედეგზეც აისახება. პირადად მე, წილად მხვდა ბედნიერება, ვმდგარიყავი ჩემი ქვეყნის საღარაჯოზე აფრიკის კონტინენტზე, ადგილას, სადაც იმ კონკრეტულ მომენტში საქართველოს ვჭირდებოდი“, - ამაყად აცხადებს ქართველი ოფიცერი.

## სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა - ვალდებულება და პრემიაცია

რატომ არის აუცილებელი ნატოსა და ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს, საქართველოს აქტიური ჩართულობა გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში? ამ რიტორიკულ კითხვაზე გამოცდილ მშვიდობისმყოფელს საკუთარი მყარი არგუმენტები აქვს და დარწმუნებულია, რომ კიდევ დიდი სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას ნებისმიერ სამშვიდობო მისიაში, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, თუ საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ამას გადაწყვეტს: „მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში კონტრიბუცია ჩვენი ვალდებულებაა, ჩვენი მხრიდან პრევენ-

ცია და საკუთარი თავის გამოცდაა. მსგავსი მისიები გვაძლევს საუკეთესო შანსს, რომ ქვეყანამ და სამხედრო მოსამსახურეებმა საკუთარი შესაძლებლობები გამოცადონ. თუ ჩვენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში არ ჩავერთვებით, თუ ტერორისტებს იქ არ შევაწუხებთ, სადაც იმყოფებიან, მაშინ მეტი რისკია, მათ საკუთარ ქვეყანაში შეგვაწუხონ. ჩემთვის, როგორც სამხედრო მოსამსახურისთვის, პრინციპის საკითხია, მოწინააღმდეგე რაც შეიძლება შორს შევაწუხო, ეს უფრო კომფორტულ მდგომარეობაში გვაყენებს.

გარდა ამისა, მშვიდობისმყოფელი უმაღლესი პატივია, რომ ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების თანხმობით ხარ, მათ გვერდით შენი ქვეყნის დროშა ამაყად ფრიალებს, დღეს შენ სხვა ქვეყანას უცხადებ თანადგომას, ხვალ მათ მხარდაჭერას აუცილებლად იგრძნობ“, - აღნიშნავს ის.

პოლიტიკური მალხაზ მერლანის განცხადებით, იმ ჯარისკაცებს, რომლებიც სამშვიდობო მისიაში ნამყოფები არ არიან ან ჯერ არ არიან, უბრალოდ, არ გაუმართლათ. ოფიცერი განსაკუთრებულ პატივს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაღუპულთა ხსოვნას მიაგებს, ქედს იხრის გმირების წინაშე და სჯერა, მათ საქართველოს ინტერესებისთვის გაიღეს საუკეთესო, რასაც სიცოცხლე ჰქვია. პოლიტიკური მალხაზ მერლანი ოპტიმისტურ განწყობაზე ასრულებს, სამხედრო მოსამსახურეებს ქართველი მშვიდობისმყოფელის დღეს ულოცავს, საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების მხრიდან მისიებში მონაწილეობის მზადყოფნას მიესალმება და ეამაყება, რომ ქართველი ჯარისკაცებისთვის ეს პრესტიჟულია და სამშვიდობო მისიებში გაშვებას ხშირად თავად ითხოვენ.





# აპირჩიე ეს გზა, რომ ჩვენ დიდ ოჯახს, ჩვენ საუბოლოს ვეხსნურო

## ვიცე-პოლკოვნიკი ალუდა სეთურიკე



**2010 წლის ოქტომბერში ვაზიანში სამხედრო ნაწილის სამწვობრო მოედანზე მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის ავღანეთში გაცეილების ცერემონიალი გაიმართა. მწვობრში, ბატალიონის მეთაურთან ერთად, ასეულის მეთაურები, მათ შორის კაპიტანი ალუდა სეთურიკე იდგა. იგი საკუთარ ასეულთან ერთად მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში, ძალიან საპასუხისმგებლო მისიით მიემგზავრებოდა. მაშინ არავინ იცოდა თუ როგორი სირთულეების გადალახვა მოუწევდათ სამშობლოდან შორს ქართველ მეზობლებს.**

კაპიტანი ალუდა სეთურიკე 1981 წლის 18 ივნისს მესხეთში დაიბადა. ჯარისკაცობა ბავშვობიდანვე ძალიან აინტერესებდა და როდესაც სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა, დარჩა კიდევ ჯარში. ცოტა ხნის შემდეგ 22 წლის ალუდა სეთურიკე თავდაცვის აკადემიაში აბარებს და 2003 წელს უკვე ოფიცრის მუნდირით აგრძელებს სამხედრო სამსახურს. „სამხედრო სამსახური ჩემთვის სამშობლოს დაცვაა. იმიტომ ავირჩიე ეს გზა, რომ ჩემს დიდ ოჯახს, სამშობლოს ვემსახურო“. - ალუდა სეთურიკე.

ალუდა სეთურიკის სამხედრო კარიერა ახლადწამოყალიბებულ III ქვეით ბრიგადას დაუკავშირდა. ახალგაზრდა ოფიცერი სწორედ ამ ბრიგადასთან ერთად გაემგზავრა მის პირველ სამშვიდობო მისიაში, კოსოვოში. ახალგაზრდა ოცმეთაურისთვის ეს იყო პირველი სამხედრო გამოწვევა. მას და მის ოცეულს საკმაოდ საპასუხისმგებლო მისია დაეკისრათ. ისინი ცენტრალური ბაზის უსაფრთხოების ამოცანებს ასრულებდნენ. მიუხედავად ამ გამოწვევისა ალუდა სეთურიკე დღემდე თვლის, რომ კოსოვოს სამშვიდობო მისია მისთვის ერთ-ერთი მარტივი სამხედრო ამოცანა იყო.

„დაახლოებით 50 კაციანი პირადი შემადგენლობა მებარა და მთლიანად ჩვენს პასუხისმგებლობაში შედიოდა კოსოვოს სამშვიდობო მისიის (KFOR) მთავარი ბაზის უსაფრთხოება. ამ ბაზაზე იმყოფებოდა მისიის ხელმძღვანელი თურქი გენერალი. მისია იყო მშვიდი, ერთი ტყვია არ გავარდნილა.

ჩვენი ბიჭები თითოეულ დავალებას წარმატებით ართმევდნენ თავს“, - ალუდა სეთურიკე.

ალუდა სეთურიკის მთელს ცხოვრებას გამოწვევები და სირთულეები არ მოჰკლებია. ახალგაზრდა ოფიცრის სამხედრო კარიერაში ერთ-ერთი რთული ეპიზოდი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს უკავშირდება. ამ დროს კაპიტანი სეთურიკე კვლავ III ქვეით ბრიგადაში მსახურობს და 32-ე ბატალიონის I ასეულს ხელმძღვანელობს. მისი ქვედანაყოფი სამშობლოს დაცვად გამართულ ბრძოლაში რუსული სამხედრო ტექნიკის გამოჩენისთანავე ჩაება. ბრძოლა პატარა ლიახვის ხეობაში მოუწია. სწორედ მისი და მისი ასეულის სახელს უკავშირდება მოწინააღმდეგის ერთ-ერთი გამაგრებული პოზიციის აღება. თლიაყანას მთაზე ახალგაზრდა ოფიცერმა სწორი გათვლით მოწინააღმდეგე გაანეიტრადა და სიმაღლეს დაეწვლია. თუმცა მტრის კონცენტრაცია პატარა ლიახვის ხეობაშიც კატასტროფულად იზრდებოდა, ამის შემდეგ ალუდა სეთურიკეს და მის თანამებრძოლებს რუსულ დესანტთან გააფრთხილები ბრძოლის გადატანაც მოუწიათ... 2008 წელს გამოჩენილი მამაცობისთვის კაპიტანი ალუდა სეთურიკე მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“ დაჯილდოვდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის უდავოდ მნიშვნელოვანი გამოწვევას ავღანეთის სამშვიდობო მისია წარმოადგენდა. უსაფრთხოების ხელშეწყობის საერთაშორისო ძალებს ბატალიონის ზომის ქვედანაყოფით

საქართველო პირველად 2010 წელს შეუერთდა. პირველი ბატალიონიც სწორედ III ქვეითი ბრიგადიდან გაიგზავნა. მისი მეთაური კი ალექსანდრე ტულუში იყო. ქართული ბატალიონის პირველი მისია ცხელ მიწაზე და პირველი მსხვერპლი - მუხრან შუკვანი. ქართველმა მეზობლებმა ჰელმანდის პროვინციაზე ქართული დასახელების ბაზების მშენებლობა დაიწყეს. ასე განჩნდა ბაზა შუკვანი, ბაზა ერედვი, დიდგორი, დიდგორი 1...

კაპიტანმა სეთურიკემ ავღანეთში ჰელმანდის ცხელ ქვიშას 2010 წლის 5 ოქტომბერს დააბიჯა ფეხი. მისი ქვედანაყოფი მეორე ბატალიონი იყო რომელიც I მ -ის, ანუ უსაფრთხოების ხელშეწყობის საერთაშორისო ძალების ეგიდით სამშვიდობო მისიაში ჩაერთო. რუსულ-ქართულ ომგამოვლილი მეზობლისთვის ასეულის მართვა ავღანეთში სირთულეს არ წარმოადგენდა. მის ბატალიონს ვიცე-პოლკოვნიკი ფრიდონ ტერელაძე ხელმძღვანელობდა. თავად მისი ასეულის საბრძოლო ამოცანა კი ჰელმანდის პროვინციაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ანტიტერორისტული ოპერაციების წარმოება იყო.

ჰელმანდში ჩასვლიდან მალევე, კაპიტანმა სეთურიკემ ცენტრალური ბაზა „ლეზერნევი“ დატოვა და წინ წაწეულ პოზიციებზე გაემგზავრა. ეს იყო ნამდვილი ფრონტის საზი. აქ მყოფ ქართველ სამხედროებს ყოველდღიურად უხდებოდათ თალიბანთან დაპირისპირება. თვითნაკეთი ასაფეთქებელი საშუალებები, ჩასაფრება, პირდაპირი კონტაქტი, თვითმკვლელები... ასეულის მეთაური კაპიტანი სეთურიკე სანიმუშოდ უმკლავდებოდა გამოწვევებს. მისმა ასეულმა არაერთი წარმატებული ოპერაცია განახორციელა ჰელმანდის პროვინციაში, დოაბში, შაბანში, ნაზარაბადში, ნადარაზარში. სწორედ მისი შერქმეულია სახელები წინწაწეული ბაზებისთვის „დიდგორი“ და „დიდგორი 1“. სეთურიკე საველე პირობებში ასეულის პირად შემადგენლობასთან ერთად ცხოვრობდა. იგი ქვედანაყოფს არც ერთი წამით არ მოსცილებია. თითოეულ ოპერაციას მაქსიმალურად ყურადღებით გეგმავდა. თუმცა მოწინააღმდეგეც არ იყო უყურადღებოდ. თალიბებს სასტიკი წინააღმდეგობის გაწევა შეძლებიათ. 2011 წლის 26 თებერვალს კაპიტანმა სეთურიკემ მორიგი ოპერაცია დაგეგ-

მა. მას და მის სამხედროებს თვითნაკეთი ასაფეთქებელი საშუალებების დამამზადებელი ობიექტი უნდა გაენადგურებინათ. მისია თითქმის დასრულებული იყო და მალე კაპიტანი სეთურიკე სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო. ძლიერი აფეთქების ხმამ ავღანურ სოფლებს გადაუარა. კაპიტანი სეთურიკე ოპერაციის მსვლელობისას უმძიმესად დაიჭრა.

შემდეგ იყო გერმანიის კლინიკა, საქართველოს სამხედრო ჰოსპიტალი, ამერიკაში გავლილი რეაბილიტაცია. 2011 წლის 26 თებერვლიდან მისი მეორე ცხოვრება დაიწყო. ცხოვრება, დაამტკიცოს, რომ კვლავ ფორმაშია და კვლავ სამშობლოს სამსახურში. ავღანეთის სამშვიდობო მისიის შემდეგ, ალუდა სეთურიკე, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

„მინდა ყველა ჩემს თანამებრძოლს მადლობა გადაუხადო იმისთვის, რომ სამშობლოში თუ ჩვენი ქვეყნიდან შორს, ერთად ვიცავდით სამშობლოს და ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. იგივეს გავაკეთებდი და ავღანეთში კვლავ წავიდოდი, რადგან მიმანია, რომ სამხედრო სამსახური სამშობლოს სამსახურია. ოღონდ ოდნავ უფრო ფრთხილად ვიქნებოდი“, - ამ სიტყვებით და ღიმილიანი სახით გამოგვიმხვიდობა ალუდა სეთურიკე საკუთარი ოჯახიდან, სადაც მას მეუღლე და 9 წლის და 7 წლის ვაჟაკი ჰყავს.

ვიცე-პოლკოვნიკი ალუდა სეთურიკე სამხედრო სამსახურს აგრძელებს, ახლა იგი კრწანისში ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში სამეთაურო-სამტაბო წვრთნების ცენტრის დაგეგმვის ოფიცრის თანამდებობაზე დანიშნული და მომავალ თაობას საკუთარ გამოცდილებას უზიარებს.







## მოსაზრებები ქართველ ექვიდოგისეოგულაებსა და საქართველოს სამედიცინო მისიის მიხედვით მონაწილეობის შესახებ

ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგისა და საქართველოს პრემიერ - მინისტრის, ბიორგი კვიციანიშვილის ერთობლივი პრეს-კონფერენცია

“მინდა ავადმჯობა გადავუხადო საქართველოს და ავღანეთში, „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ სწრაფი რეაგირების ქალების შემადგენლობაში მყოფ ქართველ ჯარისკაცებს, რომლებმაც დროული მოქმედებით, განსაკუთრებული სიამაყე და პროფესიონალიზმი გამოაჩვენეს მაზარ-ი-შარიფში გერმანიის საკონსულტო დაცვისას, მასზე თავდასხმის დროს. საბედნიეროდ, ამ თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია და არავინ დაშავებულა. ეს გახლავთ კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რამდენად უწყობს საქართველო ხელს საერთო უსაფრთხოებას, ნატოს და რამხელა პროფესიონალიზმს ავლენენ თქვენი ჯარისკაცები „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ ფარგლებში ოპერაციების განხორციელებისას.”

### ავღ-ის შეიარაღებული ქალების გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელი

გენერალმა ჯოზეფ დანფორდმა საქართველოს შეიარაღებული ქალების მიმართ ავღანეთში გამოსახატა და ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს წარმატებები უსურვა. „ქართული საჯარისკო ნაწილების წვლილი ავღანეთის ISAF-ის მისიაში გამორჩეულია. ქართველებთან ერთად სამსახური 1996 წელს მომიწია, როდესაც ჩრდილოეთ კაროლინაში გატალიონს ვმეთაურობდი. ჩვენი პარტნიორობა ორ ათწლეულზე მეტს ითვლის. სამხრეთ-დასავლეთის რეგიონულ სარდლობის ფარგლებში საქართველოს შეიარაღებულ ქალებს ღირებულ წვლილი აქვთ შეტანილი. ქართველები მამაცი და მაღალპროფესიონალი ჯარისკაცები არიან. ჩვენ, ამერიკელები, ვამაყობთ, რომ ISAF-ის მისიას ქართველი სამხედროების მხარდახმარ ვასრულებთ“, განაცხადა გენერალმა.

### გენერალი ჯონ ნიკოლსონი, „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ მეთაური და ავღანეთში ავღ-ის სამხედრო ქალების სარდალი

“მინდა, ავადმჯობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას იმ წვლილისთვის, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების მისიაში შეაქვს. წლების განმავლობაში ამერიკელების გვერდით ქართველები ავღანეთში მსახურობენ და ჩვენ კვლავ ვაფასებთ მათ წვლილს. აქვე გამოვთქვამთ მნუხარებას გარდაცვლილი ჯარისკაცების გამო და თანადგომას ვუცხადებთ დაჭრილ მეომრებს. ვაგრძელებთ რა ჩვენს მისიას ავღანეთში, კვლავ იმედის მომცემია, რომ შეგვიძლია გვქონდეს ქართველი პროფესიონალი ჯარისკაცების იმედი. ჩვენ გვქონდა შეხვედრა გატონ პრემიერ-მინისტრთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრთან და ვინაშუბრეთ ორმხრივ თანამშრომლობაზე. როგორც ამერიკელი გენერალი, ადვანიშნავ, რამდენად ვაფასებთ საქართველოსთან პარტნიორობას. ამის ნათელი დემონსტრირება არის ერთობლივი სამხედრო წვრთნები - „ღირსეული პარტნიორი“, სადაც ამერიკელები და ბრიტანელები ჯარისკაცებმა საქართველოში ქართველებთან ერთად გაიარეს წვრთნები.”

### გერმანიის თავდაცვის მინისტრის ურსულა ფონ დერ ლეინის წერილი

„ღრმად ვატივცემულ გატონო მინისტრო, გახულ კვირას მაზარ-ი-შარიფში მდებარე გერმანიის გენერალურ საკონსულტო განხორციელებული საშინელი თავდასხმის შემდეგ, მინდა, ამ გზით, უღრმესი ავადმჯობა გადაგიხადოთ თქვენი ჯარისკაცების პროფესიული ქმედებისათვის. ქართველი ჯარისკაცებისგან შემდგარი სწრაფი რეაგირების ქალების დაუყოვნებელი მოქმედებით, შესაძლებელი გახდა მოვლენების უფრო უარესი განვითარების თავიდან აცილება და ჩვენი საკონსულტო თანამშრომლების უსაფრთხო აღბილას გადაყვანა. ეს აქტიური ქმედება კიდევ ერთი დასტურია საქართველოსა და გერმანიას შორის უკვე მრავალი წლის მანძილზე არსებული შესანიშნავი თანამშრომლობისა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობით მომავალშიც გავრ წარმატებას მივადნებთ ამ ერთობლივი მისიის განხორციელებისას“.



